ახალი დღის წესრიგი მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარებისთვის

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს აქვს ამბიციური მიზნები, რომ გახდეს მდგრადი განვითარების წარმატებული მოდელი

მსოფლიოს მდგრადი განვითარების კურსის შეუქცევადობა დაადასტურა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს და მიიღო რეზოლუცია: „მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030“ ჩვიდმეტი კონკრეტული მიზნით.

საქართველო, მისი თითოეული რეგიონი თუ დასახლებული პუნქტი არა თუ ვერ მოწყდება მსოფლიო პროცესებს, საჭიროა სასწრაფოდ ფეხის აწყობა და ორიენტაციის აღება მდგრადი/ეკოლოგიური განვითარებისაკენ იმ აუცილებელი საჭიროებისათვის, რომლის წინაშეც ვდგავართ უკვე დღეს, იმ პასუხისმგებლობისათვის, რომელიც გვაკისრია მომავლის წინაშე და იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც გაგვაჩნია საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში თავს იყრის რამდენიმე ხელსაყრელი წინაპირობა მისი მდგრადი/ეკოლოგიური/მწვანე განვითარებისათვის:

- მისი გეოგრაფიული, გეოსტრატეგიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
- ტრადიციული მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილი და კარგად შემონახული ისტორიული მემკვიდრება;
- გარემოს დაბინძურების შედარებით დაბალი დონე;
- რეგიონის მიერთება ევროკავშირის ინიციატივასთან „მერების შეთანხმება“;
- სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოების აქტიურობა და კოორდინირებული ქმედება;
- არსებული დაცული ტერიტორიების ქსელი: ორი ეროვნული პარკი, აღკვეთილი და ექვსი ბუნების ძეგლი (რეგიონის ტერიტორიის დაახლოებით 14%)

ჩვენ გვსურს მივაღწიოთ ცხოვრების მაღალ დონეს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური, ჰარმონიული თანწყობით, ვუზრუნველვყოთ მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განხორციელება ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის, მცხეთა-მთიანეთი გადავაქციოთ სამოდელო მხარედ.

მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2016 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით რეგიონის განვითარების პრიორიტეტებად განისაზღვრა:

1. განათლება მდგრადი განვითარებისათვის, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, ეკოლოგიური ეთიკისა და მორალის პრინციპების პოპულარიზაცია-დანერგვა;

2. კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, იმ ქმედებების შემცირება, რომლებსაც ზიანი მოაქვს ეკოსისტემებისათვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ტყეების მდგრადი მართვა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, დაცული ტერიტორიების განვითარება, მისი ფართობის გაზრდა რეგიონის ტერიტორიის 30 %-მდე;

3. მწვანე ეკონომიკის განვითარება;

4. ორგანული (ბიო, ეკო) სოფლის მეურნეობის განვითარება თანამედროვე ბიოტექნოლოგიების, ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვით;

5. დასახლებების ეკოლოგიზაცია, ალტერნატიული ენერგიების ათვისება, ენერგოეფექტურობის მიღწევა ყველა სფეროში, მწვანე მშენებლობის სტანდარტის დანერგვა;

6. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მიგრაციის პროცესის შეჩერება და მთაში დაცლილი სოფლების გაცოცხლება, სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება, არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნა;

7. მდგრადი განვითარების პრინციპებით ახალი ტურისტული, საკურორტო-რეკრეაციული კლასტერების და ეთნო-კულტურული ცენტრების შექმნა;

8. სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა;

9. ინოვაციური მიდგომა განათლების, მართვის, წარმოების, ეროვნულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის და სხვა სფეროებში, ინოვაციების ცენტრების (ტექნოპარკების) შექმნა და განვითარება;

მცხეთა-მთიანეთი

ადმინისტრაციული ცენტრი	მცხეთა
რეგიონის კოდი	GE-MM
ადმინისტრაციული ერთეული	5
ფართობი	6 785 კმ²
მოსახლეობის რაოდენობა	94 370 კაცი (2014)
მოსახლეობის სიმჭიდროვე	13,9 კაცი/კმ²
დაცული ტერიტორიები	95 ათასი ჰა

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია
დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის და
ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტებში

საქართველო, ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქ. № 73
ტელ: +995 32 224 45 51, ფაქსი: +995 32 224 45 43,
ელ.ფოსტა: info@mtskheta-mtianeti.gov.ge

www.mtskheta-mtianeti.gov.ge